




ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება №74

2011 წლის 18 ივნისი
ქალაქი ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ

მიმდინარე წლის 18 ივნისს მდინარე სურამულას ადიდებამ უდიდესი ზარალი მიაყენა დაბა სურამსა და ქ. ხაშურის ინფრასტრუქტურას, დაზარალებულია მდინარის ორივე სანაპიროს მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა. მიყენებული ზარალის აღრიცხვისა და სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო სამუშაოების ჩასატარებლად აუცილებლობას წარმოადგენს კომისიის შექმნა, რომელიც კოორდინაციას გაუწევს ამ მიმართულებით ჩასატარებელ სამუშაოებს.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

1. შეიქმნას ხაშურის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის შემსწავლელი კომისია შემდეგი შემადგენლობით:
 1. როსტომ გრიგალაშვილი – ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე – კომისიის თავმჯდომარე;
 2. ნიკოლოზ სახვაძე – ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე – კომისიის წევრი;
 3. იოსებ ქურდაძე – ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე – კომისიის წევრი;
 4. ილია მაჭარაშვილი – ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე – კომისიის წევრი;
 5. ზაზა აბაიაძე – იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე – კომისიის წევრი;
 6. თემურ ჩაჩანიძე – დარგობრივი ეკონომიკისა და კომუნალური მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე – კომისიის წევრი;
 7. ოთარ ხაჩიძე – ჯანდაცვის, განათლების, სპორტის კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე – კომისიის წევრი;
 8. გურამ გელაშვილი – სოფლის მეურნეობისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე – კომისიის წევრი;

9. თამაზ ბურნაძე – საფინანსო-საბიუჯეტო და საინვესტიციო პოლიტიკის კომისიის თავმჯდომარე-კომისიის წევრი;
 10. ნინო ლომიძე – ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე-კომისიის წევრი;
 11. მერაბ გვარამაძე – ფრაქცია „მაჟორიტარის“ თავმჯდომარე –კომისიის წევრი
2. კომისიამ მუშაობის ეფექტურობის გაზრდისა და დაზარალებული უბნების სრულად აღრიცხვის მიზნით უზრუნველყოს:
- მოიძიოს ინფორმაცია შესაბამისი სტრუქტურებიდან მისი შემდგომი განხილვის მიზნით.
3. სამუშაო ჯგუფების მიერ მოსახლეობისათვის მიყენებული ზიანის აღწერა განხორციელდეს თანდართული ფორმის მიხედვით (დანართი №1).
4. ეს განკარგულება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.
5. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ხაშური, კოსტავას ქ. N15) 1 თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე



დავით ლომიძე

აქტი

ქ. ხაშური

2011 წლის — ივნისი

ჩვენ ქვემო ხელმომწერებმა ხაშურის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელმა

და ქ. ხაშურში _____ მცხ. მოქალაქე _____

_____ შევადგინეთ ეს აქტი მასზედ, რომ 2011 წლის 18 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზიანდა შემდეგი პროდუქტები და საოჯახო ნივთები:

№	დასახელება	განზომილება	რაოდენობა

ხელის მოწერა:

მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი: _____

მოქალაქე: _____

აქტის შედგენას ესწრებოდნენ: 1. _____

2. _____